# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 41. ქვირა, 19 მაისი 1902 წ. გაზეთის № 1813.

## ხ. ალაიანი

ათ მაისს შესრულდა ხ. ალაიანის სალიტერატურო-საპედაგოგიო მოღვაწეობის ორმოცი წელი. პატივცემული იუბილიარი ამ ჟამად 62 წლისაა; ბევრი შეწუხება და განსაცდელი გამოიარა ცხოვრებაში. როგორც გორკის, ალაიანს მთელის წლობით ოფლით უნდა ეშოვა ლუკმა პური. დიდი ხანი ასოთამწყობლად იყო, შემდეგ მეტრონპაჟად, კორექტორად, სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლად, ბოლოს, ჟურნალ „ფორცის“ რედაქციის წევრად და რედაკტორად ეჩმიაძინის გაზეთის „არარატისა“. ალაიანმა ბევრ ქალაქებში გაატარა თავისი საპედაგოგიო მოღვაწეობა: ერევანში, ალექსანდრეპოლში, შუშაში და სხვ. იმის ლიტერატურულ ნაწარმოებთაგან უფრო ცნობილია რომანი (რომელსაც ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს) არუთინა და მანუელი, მოთხრობა ორიდა, არაკი ანახიტ, ლექსები (განსაკუთრებით ბავშვებისთვის), საპედაგოგიო წერილები, სახელმძღვანელოები და წერილები სომხური ენის მართლ-წერაზე.

ალაიანი ბუნებითი ნიჭის პატრონია და რაც იცის, თითონა აქვს თავის-თავად შესწავლილი; იმისთვის არავის არ უსწავლებია. როგორც კაცი და საზოგადო მოღვაწე, კაცს აოცებს იმის სალი და ფხიზელი შეხედულობა.



ამაღლება იესო ქრისტესი.—სურ. დორესი.

## „ოქროს საზურნუთე“

ფრანგული მოთხრობა ეგვილიონისა

### I

ერმინა დე-ლოსტალს მეტის მეტად უნდოდა მარტო ყოფნა, გადაეყრდნო ფანჯარას და ღრმა ფიქრს მიეცა. ეტყობოდა, ძალიან აღშფოთებული იყო და, თითქო ველარ უძლებს გულს მოწოლილ ბოღმასაო, თავი ჩაჰკიდა... უცბად ისევ ასწია თავი და თვალი მიაპყრო მის წინ ფართოდ გადაშლილს მწვანით დაბურულს ბაღჩას, რომლიდანაც სანუგეშო აჩრდილივით გამოჩნდა ვარდის ფერ სამოსელში გამოწყობილი ახალგაზდა ქალი. ქალს ყვავილები დაეკრიფა და მოჰქონდა. აი, ჩამოჯდა ბაღჩაში სკამზე, გაშალა ყვავილები და [illegible]ზე დაუწყო დალაგება, რომ ფერი ფერისათვის შეეხამებინა და ისე შეეკრა ყვავილთ კონა.

ეს მშვენიერი, სიცოცხლით სავსე ახალგაზდა კეკლუცი ქალი შვილი იყო ქალბატონ დელოს ტალისა.

— ძვირფასო ბავშვო,—ხმამაღლა სთქვა ერმინამ,—ამას მოაგონდა, რომ ხვალ ჩემი სახელწოდების დღეა... ამ მწუხარების დროს ეს ნუგეში ერთი მაინც მომცა ღმერთმა—შვილი ღმერთო, რომ შეიტყოს! ხომ არ შემიძლიან დავფარო ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა!

და ერმინა დელოსტალს თვალწინ წარმოუდგა თავისი წარსული და ისევ ჩაჰკიდა თავი.

### II

იმის გონებას ცხადად მოაგონდა ის ამბავი, რაც ამ ოცის წლის წინად ენახა. ეს მოხდა სწორედ აქ, ამ ცისფერ ხავერდით მორთულ დარბაზში, ამ მამა-პაპათა სურათების

წინ. ერმინას დედა იმ დროს შემოვიდა ოთახში, როცა ახალგაზრდა ქალი მეგლიუს მელოდიას უკრავდა. დედამ დაუცადა, ვიდრე შვილი პიესას გაათავებდა, და მერე თავისი ქალი გვერდით მოისვა.

— ძვირფასო, ერმინა, —დაიწყო დედამ, —რასაკვირველია, შენ შეუმჩნევლად არ დაგრჩებოდა ჩვენსა ხშირი მსვლელობა ჟაკ-მორისისა, რომელიც ამ უკანასკნელ თვეებში ასეთის ყურადღების ღირსად გვხდის. მე და მამაშენი ხელს ვუწყობდით ამ სტუმრობას და შენ შენი გულიც გიწინასწარმეტყველებდა უთუოდ იმის მნიშვნელობას. მაშ, არ გაგიკვირდება, თუ გეტყვი, რომ ჟაკ-მორისმა დღეს შენი თავი გვთხოვა საცოლოდ.

—ოჰ, დედა!.. —ჩაილაპარაკა გადაფითრებულმა ერმინამ.

— როგორ? განა შენ კი არ მოელოდდი, რომ იგი ხელსა გთხოვდა?

— არა! ჩემთვის ეს მოულოდნელი ამბავია.

— სასიამოვნო... ხომ მაინც?

— ვერ მოგატყუებ, დედა: არა, სასიამოვნო არ არის, მე არასოდეს არ მეყვარება ჟაკი.

— რა სიბრიყვეა! მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯვარის დაწერის შემდეგ სულ გამოგეცვლება ეგ აზრი. შენ უარს ვერ იტყვი, რომ ჟაკ-მორისი ძალიან კარგი ყმაწვილი კაცია. იმას ღირსება მეტი აქვს, ვიდრე ნაკლულევანება. ადრე თუ გვიან, ყოველი ქალი დააფასებს და გაალმერთებს ასეთს ქმარს. ამასთანავე ჟაკ მორისი შესაშური საქმროც გახლავს. მორისების ოჯახი ყველასაგან დიდად პატივცემულია და მდიდრებიც არიან. ბევრი ახალგაზრდა ქალი ინატრებდა შენს ადგილს ყოფნას, ერმინა. შენის ქორწილის დღეს ბევრს შეშურდება შენი ბედნიერება. ამასთანავე ისიც უნდა იფიქრო, რომ მე და მამაშენმა თითქმის თანხმობა გამოვუცხადეთ ჟაკს შენის ცოლობისა და შენის მხრით ჭკვიანური არ იქნება, რომ ეხლა უარი უთხრა და ამით ჩვენ ცუდს მდგომარეობაში ჩაგვაყენო.

— მაპატიე, დედა, თუ ამ თქვენს გადაწყვეტილებას ვერ დავემორჩილები და ამით გაწყენინებ, მაგრამ სხვაფრივ ჩემი მოქცევა შეუძლებელია. მე აღთქმა მივეც ჩემს თავს, რომ მხოლოდ იმ კაცს წავყვე, ვინც მიყვარს.

— და მერე ვინ გიყვარს, გოგონავ?

— ლოსტალი.

—ლოსტალი?! ღმერთო! არა, ეგ შეუძლებელია! ნუ თუ შენ გიყვარს ის მოქეიფე, გარყვნილი და ამასთან ღატაკი!

— ყველაფერი ეგ ჭორია, განგებ მოგონილი... იმის მტრებისაგან.

— ხელს ნუ აფარებ, ერმინა. შენ რომ იმას წაჰყვე, ეს ჩვენი თავის მოჭრა იქნება და მე ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენ ამას.

— თუ კი მიყვარს ლოსტალი... და თუ იმასაც ვუყვარვარ?

— ეს საშინელებაა!

— შენ მეტის-მეტ მკაცრობას იჩენ, დედა.

— ჩვენ ამის შემდეგ იმას აღარ მივიღებთ და შენც ჟაკ მორისის ცოლი იქნები. ამ შემთხვევაში მე ყოველს ღონეს ვიხმარ, რომ პასუხის გება და სირცხვილი ავიცილო თავიდან და შენც გიხსნა იმ უბედურებიდან, რაც იმის ცოლობით მოგელის, თუ ამ დამღუპველი ნაბიჯის გადადგმის ნება მოგეცით. მაკოცე, შვილო. მარტო დაგტოვებ. კარგად ჩაუფიქრდი ჩემს სიტყვებს და შენს გულსაც დაეკითხე.



ხ ალაიანი.—სომეხთა მწერალი.
(40 წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილეი).

საუბედუროდ, რამდენიმე თვის შემდეგ ერმინას დედა ეკიპაჟიდან გადმოვარდა და უეცრად მოკვდა. მწუხარებით გულ მოკლულს მამას კი იმდენი ღონე აღარ შესწევდა, შვილისათვის წინააღმდეგობა გაეწია და, რადგან ატყობდა, რომ ერმინა თან და თან სანთელივით დნებოდა, შეეშინდა—ესეც არ მომიკვდესო—და ამიტომ ნება დართო ლოსტალის ცოლობაზე.

ლოსტალი ყომარბაზი იყო. ცოლი რომ შეირთო, თითქმის ბევრი აღარა ჰქონდა-რა. ერმინას დიდძალმა მზითევმა ჩქარა გამოაბრუნა ლოსტალის საქმე, მაგრამ დიდი მადაც აღუძრა ქეიფისა.

მოყვარული ცოლი უსამზღვროდ ენდობოდა თავის ქმარს და ამით ქმარიც საკმაოდ სარგებლობდა. სრულიად დაუბრუნდა ძველებურს ზნე-ჩვეულებას, მიჰყო ხელი თავ-აშვებულ



ცეცხლმფრქვევი მთა „სუფრიერი“. სურ. ტორნერისა, დახატულია 1812წ. ესკიზიდან.
იმ დროსაც, როგორც ახლა, ასი მილის სიშორეზე ისროდა გახურებულ ნაცარს და სითხეს.

ცხოვრებას და ხშირად ხან ერთ საქმეს მოიმიზეზებდა და ხან მეორეს, რომ პარიზისაკენ წასულიყო.

ამიტომაც ლოსტალის შეძლება ძალიან შემცირდა. დადგა დრო, როცა სრულიად გაღატაკების პირად იყო მისული, მაგრამ ამ დროს სიმამრი მოუკვდა და ცოლის დიდ ძალმა საცხოვრებელმა გადაარჩინა დაღუპვას.

ერმინასაგან უარყოფილ საქმროს-კი, ჟაკ მორისს, არც გული მოსვლია ერმინაზე და არც მასთან ნაცნობობა შეუწყვეტია. იმას ისევ ჩუმად უყვარდა ეს ქალი და როცა მან ლოსტალზე ჯვარი დაიწერა, მორისმაც დაიწყო მსვლელობა იმათსა და, როგორც მეგობარი და მოკეთე, ყოველთვის დიდის პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ერმინას.

ჟაკმა ცოლი არ შეირთო, აიყვანა თავისი საყვარელი ობოლი ძმისწული, დააყენა თავისთან და შვილსავით დაუწყო ზრდა.

წელნი მირბოდნენ. თექვსმეტის წლის შემდეგ ერმინა დაჰქვრივდა, მაგრამ იმისი ქმარი-კი ისევ დიდხანს სცოცხლობდა, რადგან თუმცა ცოლს დაუტოვა მშვენიერი ხუტმეტის წლის ქალი ჟერმენა, მაგრამ ამასთანავე დაუტოვა უანგარიშო ვალი და შეძლება-კი—ძალიან მცირე. საბედნიეროდ, არც ერთი ლოსტალის ნათესავი არ მოსწრებია მათს გაღარიბებას, ყველანი დიდი ხნის მკვდარნი იყვნენ. ერმინა გადავიდა თავის მამის სახლში და აი, ახლაც იქ იდგა. ხუთის წლის განმავლობაში ძალიან ხელ-მოჭერილად ცხოვრობდა, თითონ იკლებდა ყველაფერს და, როგორც იყო, მოვალეებს აკმაყოფილებდა.

ჟაკ მორისი კი ამ დროს ორმოც-და-ათის წლისა იყო. იმისი შეძლება თან-და-თან მატულობდა. მორისმა კარგად იცოდა ერმინას გაჭირვებული მდგომარეობა და ამიტომაც გულითადათ თანაუგრძნობდა უბედურს ქალს, ამასთანსვე სიყვარულის გრძნობა, რომლითაც ასე დიდხანს იტანჯებოდა. იმისი გული, თან-და-თანობით მეგობრულ გრძნობად შეეცვალა.

მოწყენილი ჟაკი, სასეირნოდ რომ გამოვიდოდა ხოლმე სასახლიდან, ხშირად მივიდოდა ქვრივის ეზოს გალავანთან, შეაღებდა ჭისკარს, გაივლიდა ბაღის ხეივანს და ისე თამამად შევიდოდა ერმინასთან, როგორც თავის საკუთარ სახლში. ჟერმენას ჩვეულება ჰქონდა, რომ საღამოობით როიალზე დაეკრა. მორისიც მიუჯდებოდა ხოლმე გვერდით. ახალგაზდა ქალი უთუოდ რომელსამე გრძნობით აღსავსე რომანსს მღეროდა, ძლიერი სულის პატრონი მორისი კი ამ დროს ცრემლებს ვერ იმაგრებდა და თან „ჩემო შვილოო“—ეუბნებოდა ჟერმენას. ზამთრის გრძელ ღამეებში ჟაკი იჯდა გაჩაღებულ ბუხართან და ტკბილად ებაასებოდა თავის მეგობარ ქალებს. ყოველთვის, როცა კი მოხერხებული შემთხვევა ექნებოდა, სცდილობდა მიეხვედრებინა უბედური ქვრივი, რომ სრული იმედი გქონდეს ჩემგან მეგობრულის დახმარებისაო.

ერმინას-კი მეტი ღონე აღარა ჰქონდა, რომ მოვალეები დაეკმაყოფილებინა. მოვალეებმა გადასწყვიტეს, უკანასკნელი საღსარიც წაერთმიათ ქალისათვის—წაერთმიათ სამკვიდრო მამაპაპეული მამული. უძრავ-მოძრავი ქონება უკვე დანიშნული იყო ასაწერად, უწყება ადრე, ორის კვირის წინად ჩააბარეს ქალბატონ ლოსტალს, მაგრამ ამის შესახებ არა უთქვამს-რა ჟერმენასათვის. საჯარო ვაჭრობა უნდა მომხდარიყო ამავე დღეს, ადგილობრივ სამოქალაქო სასამართლოში.

ამნაირად სრული გაღატაკება მოელოდა საბრალო ქალს. რაღაც თანდაყოლილი ამპარტავნება ნებას არ აძლევდა ერმინას, რომ ეს უბედურება თავის „მეგობარს ჟაკისათვის“ გაემხილა, თუმცა სხვა რაშიმე საკმაოდ გულახდილი იყო ხოლმე იმასთან. საცოდავს ქალს ეშინოდა, ასეთს გაჭირვებაში გულ ახდილობა მოწყალების თხოვნად არ ჩამოართვას ჟაკმაო, მაგრამ ჟაკმა კარგად იცოდა ქვრივის უნუგეშო მდგომარეობა. და იმ დროს, როცა საყვარელ ქალისათვის მღელვარე გული ფარულის, წმიდა სიხარულით უცემდა, თვალებიც ჩვეულებრივზე ერთი ორად უფრო უბრწყინავდა.



ფსიხეა და პეპელა.—სურათი ვილჰელმ კრაისა.

III

დიახ, ქალბატონ ლოსტალს ყოველივე წარსული წარმოუდგა თვალ წინ. რა ბრძნულად ეჩვენება ახლა თავის მიცვალებული დედის სიტყვები:—ლოსტალი მოქეიფე და გარყვნილიაო. ნუ წაჰყვები ცოლად, თორემ თავი მოგვეჭრებაო, მაგრამ ერმინამ თავისი გაიყვანა, იგი დააბრმავა სიყვარულმა და აი შედეგია მისა: აოხრება და უნუგეშო მწუხარება.

და ჟაკს რომ გაჰყოლოდა, ამ მშვენიერს და პატიოსანს კაცს, ამ ერთგულსა და დამჯდარი ხასიათისას, რომელმაც ისეთს შავს დღეშიაც კი გული არ შეიცვალა ამაზე...

უბედურმა ქვრივმა წარმოიდგინა თავისი უსიხარულოდ განვლილი სიცოცხლე და უნებურად მომდგარი ცრემლები მოიწმინდა. მიბინდული თვალები მიმოავლო სასტუმრო ოთახს, სავსეს მისთვის ძვირფას დროთა მომაგონებელის საგნებით, იმ ოთახს, სადაც ამისი სიყმაწვილე ისე ბედნიერად მიდიოდა; მერე გადაჰხედა დაჩრდილულ ბაღს, იმ ბაღს, სადაც ოდესმე ეს, უმანკო და ლამაზი ისე, როგორც ახლა ამის შვილი ჟერმენა, ჰკრეფდა იასამანსა და ვარდებს და ოცნებობდა ბრწყინვალე მომავალზე. და ახლა კი ეს ლამაზი სახლი, ეს დაბურული ვრცელი ბაღი და აგერ შორს, ღელის პირად მაღლობზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებარე. პატარა ფერმა,—ყველა ეს დღეს ეცლება ხელიდან. სად წავიდე? რითი ვიცხოვრო?— ფიქრობდა უბედური ქალი.

ამ დროს სახლში შემოვიდა ჟერმენა. ახალგაზდა ქალის წყნარი ფეხის ხმა მოისმა ტალანიდან. ეტყობოდა, თავის ოთახისაკენ მიდიოდა და თანაც ყვავილების კონა მიჰქონდა. მერე შემოვიდა დედასთან, აკოცა შუბლზე და უთხრა.

— როგორ ფერწასული ხარ, დედიკო... შენ, მგონია, გიტირია. მერე რატომ?.. უთუოდ, შეუძლოდა ხარ?

— ცოტად, შვილო, მაგრამ გაივლის... ნუ გეშინია... აბა აანთე ლამპა.. იქნება ჩვენი მეგობარი ჟაკი მოვიდეს დღეს ჩვენთან. რას უმღერებ, თუ მოვიდა?

— მე ვუმღერებ „გამოცდას“.

ამ სიტყვის გაგონებაზე უბედურმა დედამ მწარედ ამოიოხრა... „გამოცდა...“ და გამოურკვეველმა იმედმა მოულოდნელად გაიღვიძა იმის გულში.

მაგრამ ორივე დედა-შვილი ამაოდ ელოდებოდნენ ჟაკ მორისს. ამ საღამოს ის არ მოსულა.

(დასასრული იქნება)




— ცხრა საათია, დილის ექვსი საათიდან ვუცდი, ფეხები დამაწყდა, ახლა კი ამბობენ ხორცი აღარ არისო! სხვა ვიღა მომყიდის ასე გვიან?

## სხვა-და-სხვა ხასიათის მელოტი



ნაოჭიანი მელოტი მრისხანე ხასიათისაა.

—

კვერცხის მსგავსი გულკეთილია.

—

მელოტი კეფა ენერგიული და თავის ნათქვამია.

—

პრტყელი მელოტი ყბედია.

კუზ-მელოტი მოკლე ჭკუისაა.

—

მრგვალი მელოტი მოთამაშეა.

—

თმა მოხვეული. მელოტი კერპი და პედანტია.

—

ოთხკუთხი მელოტი უზრუნველი გულისა, მდიდარია.

პოსლიკა-მელოტი ანჩხლია.

—

„ქაჩალა“ მელოტი ნიშანია გარყვნილი ცხოვრებისა.

—

ჭკუიანი და გონიერია.

—

მუდამ მხიარულია.



ყასაბი. სტუპაი, სტუპაი, მათუშკა, ნაღოროდცკი ლავკა, დლია ტებე მესა ნეტ! ეს... იქ რომ ვერას გახდა, ახლა ჩემთან მოეთრია!

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.